ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4428903

ნომერი: AR1663466

თარიღი : 26.02.2019

გაცემის თარიღი : 15.04.2019

გაცნობის თარიღი : 15.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ხაზინას ქუჩა, N3/რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოებისნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოსკულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებულიადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ხაზინას ქ. N3/რ. თაბუკაშვილის ქ. N5-ში (ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) წარმოდგენილი ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N10; 21.03.2019წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქალაქე ვ. აბრამიშვილს უარიუნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ხაზინას ქ. N3/რ. თაბუკაშვილის ქ. N5-ში (ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებას. რეკომენდაცია: ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდეს წინამორბედ ესკიზზე დაყრდნობით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.